საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 978-03
23/06/2026

“ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინგლისურენოვან პროგრამებზე მიღების წესის” დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტის ,,ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, მე-19 მუხლის 1-ელი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რექტორის 2026 წლის 16 ივნისის N1468-02 ბრძანების, საერთაშორისო სტუდენტებისა და პროგრამების მარკეტინგის სამსახურის უფროსის ქეთევან ბოიკოს 2026 წლის 19 ივნისის N9887-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებთ

1. დამტკიცდეს “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინგლისურენოვან პროგრამებზე მიღების წესი” ქართულ (დანართი 1) და ინგლისურ (დანართი 2) ენებზე.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საერთაშორისო სტუდენტებისა და პროგრამების მარკეტინგის სამსახურს, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, რექტორის აპარატს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი